ყურადღება!!! დღევანდელი ნომრიდან იწყება საკროსვორდო ჩემპიონატის მეორე ტურნირი!

# ფანტაზია

№ 21 (47)

24-30. 06. 1997 | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 30 თეთრი

## "მშვენიერი გონჯი“ — სახელად ბარბარა



მას „გონჯს “ ეძახდნენ...ეს დამამცირებელი მეტსახელი ბრუკლინის ებრაული სკოლის მოსწავლეებმა შეარქვეს. ამ სკოლაში მხოლოდ ცენტრალური ევროპიდან ჩამოსული იუდეველების შთამომავლები სწავლობდნენ და ისინი რატომღაც ზედმეტად უმოწყალონი იყვნენ. „გონჯი, გონჯიო“ — დასძახოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ის გოგონა კი, რომელსაც ეს სახელი ერქვა, არაფრით იყო იმაში დამნაშავე, რომ მას თვალშისაცემად დიდი თავი და მეტისმეტად გამხდარი სხეული ჰქონდა, რომ ძალზედ უგერგილო და უშნო მიმოხვრა იცოდა, რომ მისი სახე უჩვეულოდ გრძელი იყო, რაზედაც ყურებამდე გაწელილი პირი იყო მოხაზული; რომ ელამი თვალები ისე ჰქონდა აცა-ბაცა წასული, თითქოს პატრონთან ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტიაო, ერთი მათგანი კი დროდადრო თავისით მოტრიალდებოდა ხოლმე და კეხიან ცხვირზე ებჯინებოდა გოგონას...

„გონჯიო“ — რომ გაიგონებდა ცრემლები ახრჩობდა, ბოღმა თვალებზედ აწვებოდა, მაგრამ იგი იმდენად ამაყი იყო, რომ გარეშეთა თვალწინ ტირილის უფლებას არ აძლევდა საკუთარ თავს, მას სჯეროდა, რომ ეს ლაწირაკები მალე ძლიერ ინანებდნენ, რომ იგი, გაიზრდებოდა და გაუგონარ წარმატებას მიაღწევდა, სახელოვან ქალად იქცეოდა და ყველას აღაფრთოვანებდა.

...და ეს ყველაფერი ისე ასრულდა, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე: გონჯი გოგონა მსოფლიოში სახელგანთქმულ ბარბარა სტრეიზანდად იქცა, რომელსაც ახლა შოუ-ბიზნესის ცოცხალ ლეგენდას უწოდებენ, როგორც მომღერალს, მსაიობს, რეჟისორს, „ოსკარის“ მფლობელს და „ოქროს ფირფიტის“ რამოდენიმეგზის ლაურეატს.

ამჟამად იგი თავისი მორიგი წარმატების ნაყოფს იმკის — გამოვიდა ფილმი, რომელიც ერთი გონჯი გოგონას ამბავს მოგვითხრობს, ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნებს თავისი ცხოვრების საოცნებო უფლისწულს. ეს „ჰეპი-ენდი“ რაღაც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: ფილმის დასრულების შემდეგ ბარბარამ მართლაც იპოვა ის მამაკაცი, რომელზედაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა და ახლა მასთან დაქორწინებასაც აპირებს.

ამბობენ, რომ ამ უკანასკნელმა სიყვარულმა საოცარი ზეგავლენა იქონია მასზე და იგი ისე დამშვენდა, როგორც არასდროს და ეს მას 54 წლის ასაკში დაემართა!...საერთოდ კი, არათუ მშვენიერ, მიმზიდველიც კი არ ყოფილა, პირისახეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხეულიც კი ნახმარ კბილის ჯაგრისს მიუგავდა, მაგრამ ერთხელ თქვა — „მე თვითონ გამოვძერწავო ჩემს სხეულს“ — და ყოველგვარი პლასტიკური-ქირურგიული ჩარევის გარეშე იმდენი შეძლო, რომ ახლა მას არანაკლებად მიმზიდველი „ბორცვები“ გააჩნია სხეულზე, ვიდრე სხვა რომელიმე ჰოლივუდელ ლამაზმანს! და ეს არის რევანში ღარიბი ებრაული ოჯახიდან გამოსული გოგონასი მთელ ქვეყნიერებაზე! — ქვეყნიერებაზე, რომელმაც მას მრავალი გულისტკივილი არგუნა და არა მარტო თანაკლასელი ბავშვების სახით. ბავშვობაში კი აი, ასე ცხოვრობდა:

მამა მაშინ გარდაეცვალა, როცა ჯერ ენაც არ ჰქონდა ამოდგმული და დედამისი, დიანა, ებრძოდა რა კარსმომდგარ სიღატაკეს, შვილს არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. გოგონას ერთადერთი მეგობარი მისივე ხელით გამიჩორკნილი თოჯინა იყო, რომელიც რეზინის ძველი „სათბუნებლისაგან“ გააკეთა, ჩაასხამდა მასში ცხელ წყალს და ეს იყო მისი ერთადერთი სითბო მის მიმართ ასე შემზარავად გულგაციებულ სამყაროში.

შვიდი წლისა რომ გახდა, მას მამინაცვალმა ნამდვილი თოჯინა აჩუქა, ბარბარამ თითქოს რაღაც ნამდვილი ადამიანურუ სითბო იგრძნო ამ კაცისაგან, რომელსაც დედამისი იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ მას შემოსავლიანი ბიზნესი ჰქონდა — იგი ნახმარი ავტომობილების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. თუმცა ეს თოჯინა ერთადერთი და უკანასკნელი ნორმალური ჟესტი აღმოჩნდა მამინაცვლის მხრივ. მალე მან ბარბარა მოიძულა და გერის მიმართ სადისტური გრძნობებიც კი გაუჩნდა. ეს გრძნობა მით უფრო გაძლიერდა, როცა ამ კაცს საკუთარი ქალიშვილი შეეძინა; იგი აღმერთებდა ჩვილს, მას ქვეყნიერების ულამაზეს არსებას უწოდებდა, ბარბარას კი სიმახინჯის განსახიერებად აღიქვამდა და, ალბათ, არც ცდებოდა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა არ აძლევდა იმის უფლებას, რომ გერისათვის ნაყინი არ ეყიდა იმის გამო, რომ იგი შეუხედავი ბავშვი იყო...

...მაგრამ ამის გამო ბარბარას ეს სამყარო არ შესძულებია, თუმცა ასეთ დამცირებას ნებისმიერი სხვა არსების გაბოროტება შეეძლო... მან მოთოკა თავისი ნერვები და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო:

*„მე ვიქნები ყველაზე კარგი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ნიჭიერი!“*

თვით დედამისმაც კი, შენიშნა რა, რომ ბარბარას სიმღერის შესანიშნავინიჭი და კარგი ხმა აქვს, ყველაფერი გააკეთა, რომ ხელი შეეშალა მისთვის.

*(გაგრძელება მე-2-ე გვერდზე)*

### ბლიც-INFO

**შოუ-ბიზნესის ყველაზე დიდი შემოსავლები**

**1995-96 წლები**

| | | |
|---|---|---|
| 1. ოპრა უინფრი | – | 171 მლნ. დოლარი |
| 2. სტივენ სპილბერგი | - | 150 |
| 3. ბარბარა სტრეიზანდი | - | 130 |
| 4. მაიკლ ჯექსონი | - | 90 |
| 5. „როლინგ სტოუნზი“ | - | 77 |
| 6. „იგლზი“ | - | 75 |
| 7. არნოლდ შვარცენეგერი | - | 74 |
| 8. დევიდ კოპერფილდი | - | 74 |
| 9. ჯიმ კერი | - | 63 |
| 10. მაიკლ კრაიტონი | - | 59 |

(ჟურნალ „**Forbs** - იდან“)



## კროსვორდი ყველასათვის



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: *9. რა აერთიანებთ მოლიერსა და პოლიკარპე კაკაბაძეს? 10. კახეთის სარკინიგზო ცენტრი. 11. თანამედროვე ირანის (აწგარდაცვლილი) „მამა“. 14. მე-20 ს.-ის უკანასკნელი „საოცრება“. 15. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც გიჟუამ წყალში გადაყარა. 16. სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი. 17. თანამედროვე რუსი კინორეჟისორი. 18. ლიტერატურის (გრანდიოზული) ჟანრი. 21. ძველთბილისური პერსონაჟი. 22. სლავთა უძველესი ქალაქი. 23. ბურატინოს უახლოესი ნათესავი. 28. ფიროსმანის კოლეგა პარიზიდან. 29. „გათანამედროვოებული“ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. 30. სამხედრო სასამართლო. 32. მთავარი (ან ერთ-ერთი) მთავარი საკვები სიღარიბეში. 36 ევროპის რიგი სახელმწიფოების ფულის ერთეული. 37. რა ერქვა ფალკონეს, შვილის მკვლელს? 38. წონის არატრადიციული ერთეული. 43. როგორ მიმართავენ ხევსურები მდელრს? 44. ნარკოტიკი, რომელიც ველურგულიანმა კაცმა (მონიკა-კასანდრა) ჯანაშიას „უწილადა“. 45. ხმელთაშუა, ზღვის კუნძული. 48. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში... საბერძნეთიდან. 49. დედამიწის ნაწილი. 50. ამერიკელი გლეხი. 51. „ძებნა“ — ჟარგონის ენაზე. 52. კატის საკვები.*

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ. *1. ლითონის „სიკვდილი“. 2. მიმოგრეხილი გზა. 3. ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი ახლო წარსულში. 4. „ზიზღის“ არაქართული სინონიმი. 5. თანამედროვე რესული პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. 6. ავტორი რომანებისა „მთვარე და ექვსპენსიანი“, „თეატრი“ და სხვა. 7. კოლონიალური სახელმწიფოების ცენტრი. 8. ქვეყანა, რომელიც თავის გამოგონილ სპორტულ თამაშში მხოლოდ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. 12. რა აერთიანებთ სტუდენტებს და პარლამენტარებს? 13. ინფორმაცია-- ჟარგონის ენაზე. 19. ძლიერი მომწამლავი ნივთიერება. 20. ამკრძალავ ღონისძიებათა ერთობლიობა. 24. ბაღჩეული კულტურა, რომელსაც ჩვენს ენაში ორი სახელი აქვს. 25. როგორია ე.წ. „ენციკლოპედიური“ კროსვორდი? 26. შუა სს. სპარსელი პოეტი (თუ ვერ ჩაწერთ, იცოდეთ ხომეინის ეწყინება!!!) 27. სტომატოლოგის იარაღი - ოღონდ არაქართულად. 31. ამა თუ იმ ენაში უსაფუძვლოდ შეჭრილი უცხო სიტყვა. 33. ნაირფერი სადღესასწაულო ცეცხლი. 34. ზღვის ხატვა - როგორც ფერწერული ჟანრი. 35. ვინ იყო თამარის გამზირის „პატრონი“ ერთდროს (მხ. რიცხ.) 39. საარტილერიო ქვეგანაყოფი. 40. ავადმყოფური ჩვევა. 41. ბიბლიური პერსონაჟი, ხელოვნური განაყოფიერების „მამამთავარი“. 42. პიროვნების ან ცნების საზოგადოებრივი „განკუთვნილება“. 46. ავი და კაპასი და კიდევ „რაღაც“. 47. ვინ იყო „მოკლე მეფე“ საფრანგეთის ისტორიაში?*

### ანეკდოტი

სიძეს სოფლიდან სიდედრი ჩამოუვიდა.

— დიდი ხნით გვეწვიე, დედი?

— სანამ არ მოგბეზრდები!

— ვაჰ, ჩაისაც არ დალევ?!

## ერიკა!!!

ქალი შუაღამისას გაიტაცეს. ქმარმა სულისგამყინავი წივილი რომ გაიგონა, კარვიდან გამოვარდა მსხვილკალიბრიანი კარაბინით ხელში. ჯუნგლების კუნაპეტ სიბნელეში კაცმა დაინახა [illegible] ლაქა თავისი ცოლის კაბისა, ცოლისა, რომელსაც უზარმაზარი მაიმუნი როდოდენდრონების ტევრისაკენ მიაქანებდა; სროლა ვერ გაბედა, მეგზურმა ზანგებმაც უარი განაცხადეს ამ ჩამრუმებულ, საშინელებებით სავსე ტყეში შესვლაზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქალი ბუნებრივი საჭიროებისათვის გამოსულა, კარავს კარგა მანძილზე დაშორებია და სწორედ მაშინ იხელთა იგი მამალმა გორილამ, რომელიც ადრეც რამოდენიმეჯერ ჰყავდათ შენიშნული თეთრკანიანი მოგზაურების ბანაკთან...

საბრალო ქალი ძლივს იპოვეს ორი დღის შემდეგ, როცა მოგზაურებმა გორილების რამდენიმე ოჯახი ააწიოკეს; ქალი ერთ გორილას მაღალ ხეზე ჰყავდა აყვანილი და შემთხვევით გასროლილი ტყვიით ხელში რომ არ დაჭრილიყო, ალბათ, თავის ქათქათა „საყვარელს“ არც ჩამოაგდებდა ძირს. ქალს მხოლოდ ფეხი მოსტყდა ჩამოვარდნისაგან, ის ნერვული დაძაბულობა კი, რაც მან ორ დღეში განიცადა, ალბათ, სამუდამო დაღს დაასვამდა მის ფსიქიკას. მისი მონათხრობიდან გაირკვა, რომ ის აღვირახსნილი გორილა დღეში ოცჯერ მაინც აუპატიურებდა მას, მერე ბანანებით კვებავდა და თავის თეთრკანიან ლამაზმანთან არცერთ თავისიანს ახლოსაც არ აკარებდა. შინ დაბრუნების შემდეგ მეუღლეები შიშის კანკალით ელოდნენ მაიმუნისაგან შესაძლო დაორსულებას, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ამგვარი ამბავი ამ რამოდენიმე წლის წიმ მოხდა კამერუნში და მის შესახებ მთელი ამერიკა ალაპარაკდა, თუმცა სკეპტიკოსები ამ ფაქტს ჟურნალისტების ფანტაზიას მიაწერდნენ.

უნდა ითქვას, რომ მაიმუნების მიერ თეთრი ქალების გატაცების ფაქტები „შავი კონტინენტის“ კოლონიალიზაციის პირველივე წლებიდან იყო ცნობილი; მაიმუნების საბრალო საყვარლები ჯუნგლების მკაცრ პირობებში დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ და თავისი კუროების გადამეტებული ალერსის და შიმშილის მსხვერპლი ხდებოდნენ, რადგან იმ ბალახბულახსა და ფესვეულს, რითაც მაიმუნები იკვებებიან, ისინი ვერ ჭამდნენ. ცნობილია ფაქტებიც, როცა გატაცებული ქალები ეჭვიანობის ნიადაგზე დედალი მაიმუნების ხელით იხოცებოდნენ. ჯერჯერობით არავის შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ მაიმუნისა და ადამიანის „დაქორწინებას“ შთამომავლობა შეუქმნია, მაგრამ ის ხალხი, ვისაც ნანახი ჰყავს მამალი შიმპანზე, სახელად ოლივერი, რომელიც ახლა კალიფორნიის ერთ-ერთ პარკში ცხოვრობს, დარწმუნებით ამტკიცებს, რომ ასეთი შთამომავლობის მიღება შესაძლებელია.

ეს საოცარი არსება დაიბადა 1969 წელს კონგოს გაუვალ ჯუნგლებში. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ის დაიჭირეს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიჰყიდეს ბერგერების ოჯახს, რომლებიც გარეულ ცხოველებს წვრთნიდნენ სხვადასხვა შოუ-პროგრამებისათვის. ოლივერმა თავიდანვე გააოცა მრავლისმნახველი ბერგერების წყვილი. ის მხოლოდ ორ ფეხზე დადიოდა, გამოირჩეოდა საოცარი თავშეკავებითა და საზრიანობით. ეს შიმპანზე ისეთი სიზუსტით ბაძავდა ადამიანურ ჩვევებს, რომ იქმნებოდა ილუზია, თითქოს ამას შეგნებულად აკეთებდა. როცა ოლივერს მონეტას აძლევდნენ, იგი გამაგრილებელი წყლების ავტომატთან მიდიოდა და იქიდან „კოკა-კოლათი“ ხელში ბრუნდებოდა. ოლივერი ბერგერების ძაღლს ადამიანივით უვლიდა და

# მაიმუნებსაც უყვართ თეთრი ქალები?!

ამის შემხედვარე ყველა ამბობდა, რომ ამ უზარმაზარ ნაგაზს ოლივერი ადამიანი ჰგონიაო. აშკარა იყო, რომ ეს არსება დიდად განსხვავდებოდა თავისი მოძმეებისაგან წარმომავლობის თვალსაზრისით. ოლივერი, როგორც წესი და რიგია, ტუალეტში დადიოდა და წყალსაც კი ასხამდა საქმის მოთავების შემდეგ. ცოლ-ქმარ ბერგერებს ყველაზე მეტად ის ახალისებდათ, როცა ოლივერი თავისი პატრონის გვერდით ტელევიზორთან იჯდა ხოლმე საღამოობით, ხელში ვისკის ჭიქა ეჭირა და ფრენკ ბერგერის მსგავსად ალკოჰოლში ფორთოხლის წვენს ურევდა, მერე ნელინელ წრუპავდა და ტელევიზორსაც საოცარი ინტერესით ადევნებდა თვალს.

გარეგნობითაც განირჩეოდა ოლივერი სხვა მაიმუნებისაგან; იგი იყო სრულიად მელოტი, მკერდზე თმა არ ჰქონდა, ქვედა ყბა



ადამიანური ფორმისა ჰქონდა და თვალებშიც აშკარა სინათლე მოუჩანდა. სხვა მაიმუნები მას ახლოს არ იკარებდნენ და იგი მუდამ განცალკევებით იჯდა ხოლმე. მეცნიერებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ამ უჩვეულო შიმპანზეს მიმართ, გაზეთ **The Sunday Telegraph**-ის ინფორმაციის თანახმად, ჩიკაგოს უნივერსიტეტი სპეციალისტებმა ოლივერის სისხლის ანალიზი ჩაატარეს და დაადგინეს, რომ მას 47 ქრომოსომა აქვს. ეს ერთით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ მაიმუნებს აქვთ და ერთით მეტია, ადამიანის ქრომოსომების რიცხვზე. ბიოლოგებმა ოლივერის წარმომავლობის შესახებ რამოდენიმე ჰიპოთეზა შექმნეს. ერთნი ამბობდნენ, რომ ეს არის მუტანტი, რაც ადამიანის მიერ ცენტრალური აფრიკის ეკოლოგიის ხელყოფის შედეგადაა შობილი, მეორენი კი თვლიდნენ, რომ ეს საოცარი შიმპანზე პიგმეისა და მაიმუნის სატრფიალო ურთიერთობის შედეგია. მეცნიერება იცნობს ისეთ ფაქტებს, როცა პიგმეები იჭერდნენ ახალგაზრდა მდედრ შიმპანზეებს და სახლში ჰყავდათ გამომწყვდეული სასიყვარულო ურთიერთობის მიზნით.

ბერგერების ოჯახში სრული სიმშვიდე იყო, სანამ ოლივერმა სქესობრივი სიმწიფის ასაკს არ მიაღწია. აი, მაშინ კი ოლივერმა ინტერესი გამოამჟღავნა არა შიმპანზეების მიმართ, არამედ ყურადღება მიაპყრო ჟანეტ ბერგერს. ოლივერს შარვალი არ ეცვა და ჟანეტი ხედავდა, რომ მასთან მიახლოებისას მის სხეულზე ყველაფერი ყალყზე დგებოდა. ასეთ დროს ოლივერი მირბოდა დიასახლისთან, კაბის ქვეშ უძვრებოდა და ქალის ძირს დაგდებას ცდილობდა. თუმცა ოჯახის უფროსის თანდასწრებით იგი ამის გაკეთებას ვერ ბედავდა. ოლივერი საოცარ ექსტაზში ვარდებოდა, როცა ჟანეტთან მეგობარი ქალები მოდიოდნენ; ერთხანს ეს ართობდათ ქალებს, მაგრამ მალე შიშის გრძნობა ჩაესახათ მათ. ამ ახალგაზრდა მაიმუნს, მიუხედავად მცირე სიმაღლისა მკლავებში დიდი ძალა ჰქონდა; იგი თამაშ-თამაშით აგდებდა ძირს ქალებს და საცვლების შემოხევას ცდილობდა მათს სხეულზე. ჟანეტის მეგობრები ძლივს აღწევდნენ თავს ამ სექსმანიაკის ძალადობისაგან. ბერგერებს ამ არსების თავიდან მოშორება არ სურდათ, რადგან მას დიდი შემოსავალი მოჰქონდა მათთვის არენაზე გამოსვლით, მაგრამ ჟანეტის გაუპატიურების მცდელობა სულ უფრო რეალურ ხასიათს იღებდა. ერთხელ ღამით, ოლივერი ჟანეტის საძინებელში გადაძვრა და ქალს მაშინღა გამოეღვიძა, როცა მაიმუნს უკვე მოეხერხებინა მისთვის ფეხების გაწევა. ჟანეტი სასწაულით დაუსხლტა მოძალადეს ხელიდან, დასწვდა ღამის მძიმე სანათურს და ოლივერს თავში ჩასცხო. სანამ მაიმუნი გონს მოეგებოდა, ქალმა მოასწრო დერეფანში გასვლა და ქმარს დაუძახა. მათ ერთად მოახერხეს შიმპანზეს გათოკვა და სარდაფში ჩააგდეს.

ამ ამბის შემდეგ ბერგერებმა ოლივერი ორ ამერიკელს 10 000 დოლარად მიჰყიდეს. იმ ამერიკელებმა კი ოლივერთან ერთად მრავალი ქვეყანა მოიარეს და დიდძალი ფულიც იშოვეს. შემდეგ მათ იგი, ასევე დიდი თანხის საფასურად, კალიფორნიის ზოოპარკს დაუთმეს, სადაც ოლივერი სხვადასხვა შოუში გამოსვლას განაგრძობდა. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ეს უცნაური არსება პენსილვანიის შტატის ერთ სამეცნიერო ლაბორატორიაში ცხოვრობს, სადაც მას გულდასმით იკვლევენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ლაბორატორიის ქალთა პერსონილზე რამოდენიმე თავდასხმის შემდეგ ოლივერი მკაცრად დასაჯეს და მას შემდეგ იგი დაშოშმინდა, შიმპანზეების ჰარამხანა შექმნა და დიდი რაოდენობის შთამომავლობაც ჰყავს...

*(მასალა დაწერილია ინგლისური პრესის გამოყენებით)*

---

# „მშვენიერი გონჯი“ — სახელად ბარბარა

*(პირველი გვერდიდან)*

დიანა ცდილობდა დაერწმუნებინა ქალიშვილი, რომ მას, ასეთი გარეგნობის პატრონს, პუბლიკის წინაშე გამოჩენის უფლება არ ჰქონდა და უკეთესი იყო, რაიმე სამსახური მოეძებნა, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო...

### სამსახურიც იშოვა...

[illegible]რა ერთ პატარა ჩინურ რესტორანში [illegible] დაიწყო ოფიციანტად და კვლავ [illegible]განაგრძო ჩუმჩუმად სიმღერა. მან [illegible]სლაც მოახერხა და მანჰეტენის, [illegible]ორკის ცენტრალური ნაწილის, ერთ[illegible]ის კლუბში დაიწყო კონცერტების [illegible]ტარება. მართალია, აქ უპირატესად ჰომოსექსუალისტები იყრიდნენ თავს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა 16 წლის ბარბარასათვის. ასე დაიწყო ნიუ-იორკელი „კონკიას“ კარიერა, რაც გასაოცარი, ფეიერვერკული ელვარებით გაგრძელდა და თანაც ყოველგვარი პრინცებისა და ფერიების დახმარების გარეშე.

ნიჭი, შრომისმოყვარეობა და გამაოგნებელი თვითდისციპლინა — აი,რამ შექმნა ბარბარა სტრეიზანდის ფენომენი!

### მსოფლიო ტაშს უკრავს...

ბარბარა შოუ-ბიზნესის მწვერვალზე მოექცა. ფირმა „სონიმ“ მასთან გააფორმა კონტრაქტი 60 მილიონი დოლარის ანაზღაურებით. მომღერლის თაყვანისმცემლებმა მისი 48 გრამფირფიტა მიიღეს, საერთო ტირაჟით — 6 მილიონი ეკზემპლარი და ეს ყველაფერი 1967 წლამდე გრძელდებოლდა, ვიდრე მას, როგორც ებრაელს, არაბი ტერორისტები არ დაემუქრნენ. ამან ბარბარა სერიოზულად დააშინა, სცენიდან წავიდა და კინოს მიაშურა.

ასე შეიქმნა კინიშედევრი — „სასაცილო გოგონა“! — და ამ როლისათვის ბარბარამ „ოსკარი“ მიიღო...

**სხვათა შორის**

ბარბარა სტრეიზანდი გასულ წელს მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ს პრესაში მის შესახებ მოტანილი ჭორების რაოდ ენობით; იგი 319-ჯერ გაჭორეს, პირველ ადგილზე კი ბილ კლინტონია — 339 ჭორი.

### მივყვეთ მოვლენებს...

ბარბარა სცენას 16-წლიანი ინტერვალის შემდეგ დაუბრუნდა, ერთი მოთხოვნით — კონცერტზე ხალხი სპეციალური ტურნიკეტის გავლით შეეშვათ და თანაც ლითონმაკონტროლებელი დანადგარით შემოწმების შემდეგ, ანუ ისევე, როგორც აეროპორტებში ხდება. ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ შესრულდა, რადგან ამას ამერიკის უდიდესი მსახიობი ითხოვდა!

არც კინო მიუტოვებია; აი, მაგალითად, ფილმი „ორმხრივი სარკე“, რომელიც შობის დღესასწაულზე გამოჩნდა ამერიკის ეკრანებზე და შესაბამისი სასწაულიც მოახდინა. ამ ფილმში ბარბარამ ერთი უილბლო ქალის, როზას, როლი განასახიერა. როზა უნივერსიტეტში ლიტერეტურის კურსის ლექტორია, იგი რომანტიზმის ეპოქის სპეციალისტია, თუმცა ცხოვრებაში რომანტიკა ნაკლებად გააჩნია. ეს ქალი ულამაზო, სათვალიანი, გრძელცხვირა არსებაა, მას ჩაცმადახურვის არანაირი სტილი არ გააჩნია და ტიპიური შინაბერაა; როზას მამა დიდიხნის წინ გარდაეცვალა და დედასთან და დასთან ცხოვრობს, ეს უკანასკნელი კი ძალზედ ლამაზი ქალია და საკუთარ დას იმ ერთადერთ მამაკაცსაც კი წაართმევს, რომელსაც ერთხელ როზასკენ გული გაუწევს...

ეს ფილმი, რა თქმა უნდა, ავტობიოგრაფიულია; აქ ბარბარამ დოკუმენტური სცენაც კი ჩართო, რომელიც მის ხსოვნას ბავშვობიდან შემორჩა. ეს სცენა ასე გამოიყურება:ატირებული როზა დედას ეკითხება — „ბავშვობაში მაინც ვიყავი ლამაზი?“ — და დედა პასუხობს — „ეს რა კითხვაა?! ბავშვი ყველა ლამაზია!“ და დამნაშავის სახით არიდებს შვილს თვალს... ერთ დღეს როზა საგაზეთო განცხადებით გაიცნობს მათემატიკის მასწავლებელს, რომელიც ასევე მოკლებულია ცხოვრებაში მეგობარს. ეს მარტოსულები გადაწყვეტენ „ისე რა“ იქორწინონ და ურთიერთობის პროგრამიდან საერთოდ გამორიცხავენ სექსს, მაგრამ... როზას ეს თავისი „ისე რა“ საქმრო შეუყვარდება და გადაწყვეტს, მასაც შეაყვაროს თავი: გაიკეთებს მოდურ ვარცხნილობას, შეისწავლის მაკიაჟის საიდუმლოს, შეიძენს ელეგანტურ ტანსაცმელს და... „ჰეპი-ენდიც“ გარანტირებულია!

ასევე მოხდა ბარბარას ცხოვრებაშიც, მას მსახიობი ჯეიმზ ბროულინი შეუყვარდა; მოვუსმინოთ ჯეიმზს: „ნამდვილი სილამაზე გულით უნდა აღიქვა; ზოგჯერ ჩვენ ჭკუას ვკარგავთ ვინმე ლამაზმანისათვის, მაგრამ გრძნობა, რომელიც ასეთ დროს წარმოიშვება, დიდხანს ვერ ცოცხ-



ლობს, თუ არ არის მეორე, ანუ — „სულიერი სილამაზე“. ბარბარას კი ეს მეორე სილამაზე საჭიროზე მეტიც გააჩნია!“

### ბარბარას თაყვანისმცემლები

სწორედ ამ „მეორე სილამაზისა“ გამო, ბარბარას არასოდეს მოჰკლებია თაყვანისმცემლები. აი, მათი არასრული სია: ელიოტ გოულდი (ბარბარას მისგან ვაჟიშვილი ჰყავს), პიერ ტრიუდო — კანადის პრემიერი, ელვის პრესლი, უორენ ბიტი, რიჩარდ ბარტონი, კლინტ ისტვუდი, რობერტ რედფორდი, ომარ შარიფი, ანდრე აგასი...

### თვით ბილ კლინტონიც?!

ბილ კლინტონს თავად ბარბარაც ეთაყვანება; არავინ იცის, ეს ფაქტი ამ თაყვანისცემის მიზეზია თუ შედეგი, მაგრამ ბარბარა, გარდა სცენისა და ეკრანისა, პოლიტიკურ არენაზეც გამოჩნდა... იგი დემოკრატიის აქტიური მხარდამჭერია და დიდი დახმარება გაუწია კლინტონს, როგორც პირველი, ასევე მეორე არჩევნების დროს. იმისათვის, რომ თავის რჩეულს დახმარებოდა, ბარბარამ ჰოლივუდში საგანგებო წვეულებაც კი გამართა და ეს იყო მომავალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე წარმატებული ღონისძიება! ამ ქალმა კლინტონისათვის არაერთი მილიონი დოლარის შეგროვებაც კი შეძლო და პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გრანდიოზული სოლო-კონცერტიც გამართა, რომლის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტი წამოდგა და დიდხანს უკრავდა ტაშს.

„ზოგიერთ მამაკაცს მადლიერების გამოხატვა შეუძლიაო...“ — ასეთი გამართლება მოუძებნეს კლინტონის მხურვალე რეაგირებას, მაგრამ იყო ის კომენტარიც, რომ „აქ რაღაც ძაღლის თავიაო ჩამარხული?!“ და არგუმენტად ბარბარას მიმართ ჰილარი კლინტონის გულცივი დამოკიდებულება მოიტანეს . ასეა თუ ისე — არავინ იცის, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბარბარამ თავისი უზარმაზარი ფერწერული კოლექცია და ძველებური ავეჯი გაყიდა, რათა საკუთარი სახლის ინტერიერი ისევე მოეწყო, როგორც თეთრ სახლშია...

### და ბოლოს...

ერთხელ ომარ შარიფს უთქვამს — „ეს ადამიანი კი არა, ურჩხულია, რომელსაც ძალიან უნდა, რომ იყოს ქალი და იყოს ლამაზი, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერასოდეს იქნებაო!“ შარიფი კარგი წინასწარმეტყველი ვერ აღმოჩნდა...

უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, გამოჩნდა კაცი, რომელმაც 55 წელს გადაცილებულ ბარბარას აგრძნობინა ის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული! ეს კაცი ჯეიმზ ბროულინი გახლავთ.

და ბოლოს ისევ ბარბარას მოვუსმინოთ: „ ჩვენ გაცნობის პირველი წუთიდანვე გავაბით საუბარი და ეს საუბარი ჯერაც არ დამთავრებულა; როცა ჯეიმზი ირლანდიაში, გადაღებებზე მიემგზავრება, ჩვენ დღეღამეში შვიდ საათს ვსაუბრობთ ტელეფონით. ჯეიმზი ძლიერი პიროვნებაა და ნამდვილი მამაკაცია, ამასთანავე ძალზედ ნაზი და ალერსიანიცაა და არც მალავს თავისი ხასიათის ამ ქალურ შტრიხს. იგი ჩემი სიზმრების უფლისწულია, იგი ამაყობს ჩემით...

სხვა რა უნდა მინდოდეს მე?!“

### ახლა დავასკვნათ...

*მალე კონკია და უფლისწული იქორწინებენ და ორივე მათგანი დარწმუნებულია ამ ნაბიჯის აუცილებლობაში. ჩვენ კი იმაში დავრწმუნდით, რომ არცერთმა ელამმა და გრძელცხვირამ იმედი არ უნდა დაკარგოს ცხოვრებაში! ..არ უნდა დაკარგოს!*

*(მასალა მომზადებულია გაზეთებიდან "7 Дней", "Частная жизнь")*

---

## მინიკროსვორდი



თარაზულად: 7. ჭორიკნობის სანქცირებული სპეციალობა. 8. ხელის კონდიციონერი. 9. პასუხი — დრამატურგიაში. 11. ფერწერული ინვენტარი. 12. ჩრდ.-დას. საფრანგეთის ისტ. ოლქი. 14. გარეული ღორი. 15. როგორ ითხოვენ შველას ზღვაში? 16. პუშკინის გადია. 17. ბურღვის სპეციალისტი-მკურნალი. 18. ჩინეთის მთავარი კომუნისტი. 19. იგივეა, რაც უპირატესობა

შვეულად: 1. „გადარეული“ რუსი პოლიტიკოსი. 2. გრეგორი პეკის ხელობა კ.ფ. „რომაულ არდადეგებში“. 3. ქართველ თავადთა გვარი. 4. კურორტი ბორჯომთან. 5. კომედიის მუზა. 6. ხმაური ანუ... 10. ჯულიეტას ბოროტი ნათესავი. 13. ბერძნული ანბანის ასო.

## ზოოიუმორი

მამალმა საქათმეში ჯარისკაცების მიერ დატოვებული ხელყუმბარა (ე.წ. „ლიმონკა“) იპოვა და სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ქათმები:

„— მე არავის შეურაცხყოფა არ მინდა, მაგრამ, აბა, შეხედეთ, როგორ კვერცხებს დებენ ახლა არმიაში?!“

— — — —

გენეტიკოსთა სიმპოზიუმზე ამერიკელი ამბობს:

„— ჩვენ შევაჯვარეთ ძროხა ქათამთან და ახლა რძეს, კვერცხს და ხორცს ერთდროულად ვიღებთ.

ფრანგი: „ჩვენ შევაჯვარეთ ბუზი ფუტკართან, ეს არსება ახლა ნაგავში იქექება და თაფლი მოაქვს“

რუსი: „საზამთროსა და ტარაკანის შეჯვარების შედეგად მივიღეთ ის, რომ — გაჭრი საზამთროს და კურკები თავისით გამოდიან“.

SOS... SOS... SOS... SOS... SOS... SOS... BRAVO... BRAVO... BRAVO...

# კროსვორდისტის ბუნტი!... კროსვორდის ნიმუშით!...

*სხვისი არ ვიცი და მე ნამდვილად ბუნტის, რევოლუციის, გადატრიალების თუ ნებისმიერი სხვა ჯანდაბის მსურველი (...და შემსრულებელი) ვხდები, საგაზეთო დახლებზე ამდენ... (ღმერთო, შენ გვიშველე) ამდენ საკროსვორდო გამოცემას რომ ვხედავ!!!*

დადექით, ხალხო!!! დაშოშმინდით!!!

...მთლად ნუ შეაძულებთ ამ ხალხს კროსვორდის სახსენებელს!!!

*არადა, კროსვორდიც ხომ კროსვორდია, არა?! ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვინც კი ორი სიტყვა ერთმანეთს გადააჯაჭვა, ყველამ ცალკე კრებული ან გაზეთი გამოსცა. ხომ არ შეიძლება, არა (სიმონ!), თუ ერთდღეს ბურთზე ფეხი მოგიხვდა, მეორე დღესვე „დინამოს" სტადიონზე მოინდომო შენი „ოსტატობის" ჩვენება?! მე რას მიყურებთ?! — აი, მე რომ მხედავთ, არა (სიმონ!) ამ „ფანტაზია-მანტაზიებში " უკვე 800 კროსვორდი მაქვს გამოქვეყნებული, სხვა ქართულ გაზეთებში კიდევ 300 კროსვორდი და აგერ უკვე წელიწადია რუსული კროსვორდების კეთება დავიწყე და ერთი ასეული ცალი გამოვაქვეყნე კიდეც. კი ბატონო (სიმონ!) შეიძლება თქვათ, რომ მე კროსვორდის შედგენა არ ვიცი და დაგეთანხმებით კიდეც, რადგან ეს თქვენი აზრია და ამდენად პირადი ქონებასავით ხელშეუხებელია ამ ჩვენს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ამდენ... (ღმერთო, შენ გვიშველე!) ამდენ საკროსვორდო გამოცემებს რომ ვხედავ, იმასღა ვნატრობ ახლა ერთი კომუნისტობის დრო იყოს და მე, არა (სიმონ), საქართველოს მთავარი საკროსვორდო ცენზორი მქნა-მეთქი, რომ სულ მივკრძალ-მოვკრძალო ეს საქმე (ამ ჩემი საყვარელი კროსვორდის „გაბანძებისათვი!")*

კარგით, რა!!! ხალხი არა ხართ?!

დაშოშმინდით, რაღა!!!



**თარაზულად:** 1. ღ არტანიანის სამშობლო მხარე. 6. კამათის სახესხვაობა. 11. აკაკი კვანტალიანის კინოპერსონაჟი. 13. შორეული აღმოსავლეთის მდინარე. 15. ირანის ფული. 16. ნორვეგიის სიამაყე მუსიკის დარგში. 17. სიყვარულის ქალღმერთი. 19. იაპონელი ფანტასტი, კობო... 20. სოხუმის გარეუბანი. 21. (ბატონი) კუროსავა, იაპონელი კინორეჟისორი. 23. მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი იუმორისტი. 25. კაცი, რომლის სიკვდილითაც კაცობრიობა ოთხჯერ შემცირდა. 26. მსახიობის კოსმეტიკა. 28. ნორჩი ტოტი. 30. შენობის ნაწილი. 31. უარყოფითი ნაწილაკი. 32. ვერდის ოპერა. 34. უხეში ქსოვილი. 35. გალაკტიონის ლექსი. 36. იტალიელი ფეხბურთელი. 37. საცეცხლური. 40. საგზაო ნიშანი. 42. ყოფ. სსრკ - ჩინეთის სასაზღვრო მდინარე. 43. „დრამატურგიულად" დამხრჩვალი ქალი. 45. საცეკვაო შეძახილი. 46. ხილი, რომელსაც ვირი „არ სცნობს" 47. სომხეთის ფული. 49. რომან „კონსუელოს" ავტორი. 51. ლიტერატურის ალეგორიული ჟანრი. 53. აურზაური. 54. „გამზრდელის" პერსონაჟი ქალი. 56. ქალ-ვაჟის ურთიერთობის სახესხვაობა. 57. უკიდურესი ნიჭიერება. 58. პოლონეთის მდინარე. 60. ქალაქი-პორტი ჩილეში. 61. ბერძნული მითოლოგიის „მახეილიანი" პერსონაჟი. 62. (აღმოსავლური) ძღვენი. 63. სასოფლო - სამეურნეო მანქანა.

**შვეულად:** 1. სახვითი ხელოვნების დარგი. 2. ფინური აბანო. 3. ახლო წარსულის ბრაზილიელი ფეხბურთელი. 4. სამწყობრო ბრძანების ნაწილი. 5. საოპერო პარტია. 6. უპოპულარესი ყავა. 7. ყველაზე „საკაიფეორდო" ქალაქი საქართველოში. 8. კახელების ოჯახის აუცილებელი სათავსო. 9. ერთ-ერთი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმა. 10. ვინ იყო იკაროსი თანამედროვე გაგებით. 12. დასახლებული პუნქტი. 14. ალმაცერი ფორმის რამ. 16. კახეთის მეფეთა რეზიდენცია. 18. სპორტულიც და საცირკოც. 20. სატანეარჯიშო იარაღი. 22. ეგოიზმის ანტონიმი. 23. საvარჯიშო დანადგარი. 24. ხალისი ანუ... 27. მზის ღმერთი — ძვ.საბერძნეთში. 29. მდინარე გერმანიაში. 31. ოჯახის მფარველი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 33. თუთიყუშის სახეობა. 34. საგანგაშო სიგნალი. 37. მეღვინის დარგი. 38. ზღაპარ „თოვლის დედოფლის" პერსონაჟი. 39. სოფელი სიღნაღის რაიონში. 41. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში. 43. ქვეყნიერება – ძველებური გამოთქმით. 44. მხლებელთა ჯგუფი. 46. (კიდევ ერთი) სატანეარჯიშო იარაღი. 48. „ქართული" სოსისი. 49. მოქმედების წინწასაწრები სიტყვა. 50. ზეიადაურის სოფელი. 52. კანფეტის სახესხვაობა. 54. საბჭოთა ავტომობილი. 55. ახალგაზრდა კომუნისტების სამჭედლო. 58. პოლანდიურ-ბელგიური გვარების წინსართი. 59. არავიზუალური კონტაქტის დასამყარებელი სიტყვა.

# ასოციაცია

**თარაზულად:** 9. გამეფება, ინაუგურაცია. 10. პუერტო-რიკო, გვატემალა. 12. ფიშერი, კასპაროვი. 13. კაბარე, ვარიეტე. 15. ჩელიაბინსკი, მაგნიტოგორსკი. 16. კვაზარი, გალაქტიკა. 18. ფორინტი, ლეი. 19. ნოვოკაინი, გაყუჩება. 20.ფხოვი, დიდოსტატი. 23. აფრიკა, ავსტრალია. 24. ციცქა, ალადასტური. 28. ნაპერწკალი, კოცონი. 29. „ოთხმოცდაცამეტი", „გავროში". 30. ლეკვი, ფინია. 33. ტრინიდადი, ბარბადოსი. 34. გაფორმება, დაფიქსირება. 36. მხედარი, ცხენოსანი. 37. დეგენერატი, დებილი. 39. ემილი, ლიტერატურა. 40. წყვილი, ხერხი.

**შვეულად:** 1. სოლომონი, ფილოსოფია. 2. არტელი, ფირმა. 3. პენსნე, ლორნეტი. 4. ელიავა, მიქაძე. 5. კინო, ტელევიზია. 6. ლებანიძე, ბერულავა. 7. „ბოტაფოგო", „ფლამენგო". 8. კარები, ტრიალი. 11. ჩონჩხი, არმატურა. 14. ხრიკი, ინტრიგა. 17. ანდაზა, აფორიზმი. 21. ინდიანა, კალიფორნია. 22. იაზონი, ჰერაკლე. 25. ჩაი, ნარგავები. 26. მუშტარი, მომხმარებელი. 27. მდიდარი, ფულიანი. 31. ჩაგვრა, დესპოტიზმი. 32. მუშთარი, ზუალი. 35. მარსელი, ნანტი. 38. მღვიმელი, არაგვისპირელი.



# ტირი



*ჩამოთვლილი სიტყვებიდან ექვსი „ზუსტი გასროლით" შეავსეთ კროსვორდი:*

ანანასი, ბრეტანი, კრონოსი, ორატორი, სტალინი, სტალონე, სტაფილო, ფრუტუნი, ცვედანი.

*მონოლოგი მოცემულ თემაზე*

# ოლეგ ვასილიევი – ადამიანი-კროსვორდი!

მე, ოლეგ ვასილიევი, დავიბადე 1967 წელს, მოსკოვში... 13 წლის ასაკიდან დავიწყე კროსვორდების შედგენა და ეს გახდა ჩემი პროფესია, რომელიც არც შემიცვლია და, ალბათ, აღარც შევიცვლი, რადგან კროსვორდის შედგენა, ჩემი აზრით, ყველაზე შემოსავლიანი ხელობაა დღევანდელ პრესაში.

„მაინც რა არის კროსვორდი?" – ბევრი მეკითხება ამას...

კროსვორდი ეს მხოლოდ სიტყვების მოძებნა არ გახლავთ რაღაც ასოთა გარკვეული რაოდენობით, ეს ლექსიკური თავსატეხია, სადაც ჭკვიანური სინონიმების ისეთი მოძებნაა საჭირო, რომ ძნელად ამოსაცნობი გახდეს და ფიქრის შემდეგ დადგინდეს.

მე ჩემი ხელობით დღეს 35 ადამიანის ცხოვრებას უზრუნველვყოფ! ამ ხალხს მე გავუნაწილე ფუნქციები და ყოველ მათგანს თავისი კონკრეტული საქმე მივეცი; ასე მაგალითად: ზოგი მათგანი ახალ ლიტერატურას კითხულობს და საინტერესო ლექსიკურ ერთეულებს კრებს, ზოგი ჩვენს პროდუქციას ამოწმებს, რათა არანაირი კორექტურული თუ ტექნიკური შეცდომა არ გაიპაროს, 5 კაცი კი ჩემს ელიტას შეადგენს, რომელთა მოვალეობა პერსპექტიული იდეების შემუშავება და საკროსვორდო მოდის ფერისცვალების თვალყურის დევნებაა.

დღესდღეობით ჩემი გუნდი ე.წ. „უცხოური კროსვორდების" შედგენითაა დაკავებული: ახლახანს ჩვენ ბაზარზე გავიტანეთ 20 კრებული, რომელთა შორისაა იტალიური, ვიეტნამური და ინგლისური კროსვორდები (*აქ ლაპარაკია კროსვორდის ფორმაზე და არა ენობრივ მხარეზე — „ფანტ." რედ*) .ეს მრავალფეროვანი კროსვორდების კრებულებია, როგორც ფორმით, ასევე ამოხსნის მეთოდიკით. ახლა ჩემი ელიტა ფიქრობს იმაზე, თუ რით გაართოს მოსახლეობა მომავალ წელს. ის ხალხი კი, ვინც კროსვორდებს ავსებს, ძალზედ სპეციფიური გემოვნებისაა და გამუდმებით გვიხდება იმაზე ფიქრი, თუ რით გავაოცოთ ისინი.

დღეს რუსეთი მსოფლიო საკროსვორდო მოდის ერთ-ერთ კანონმდებლად იქცა და ჩვენ საკმაოდ უკან ჩამოვიტოვეთ ინგლისურენოვანი სამყარო, სადაც ახლა ახალი მოდაა, რაც უფრო მათს სიზარმაცეზე მეტყველებს, ანუ: ახლა ისინი სიტყვების ამოცნობას ერიდებიან და ჩარჩოში არეულად ჩაწერილ ასოებში სიტყვათა პოენით ირთობენ თავს; საერთოდ კი დღეს მსოფლიოში ყველაზე საკროსვორდო ქვეყანა უნგრეთი გახლავთ, სადაც ქრთ სულ მოსახლეზე, ალბათ, ერთი კროს-კრებული მოდის (*სამწუხაროდ, ბატონი ვასილიევი საქართველოს არ იცნობს, თორემ, ალბათ იგივეს იტყოდა — „ფანტ." რედ.*)

ჩემზედ ამბობენ, რომ მე კომპიუტერული პროგრამით ვადგენ კროსვორდს, ანუ უფრო სწორად, კომპიუტერი ადგენს და მე დავსეირნობ... ახლა ბაზარზე მართლაც ბევრი ასეთი პროგრამა გამოიყარა, მაგრამ რაში მჭირდება ისინი?! ამ მანქანებს შეუძლიათ მხოლოდ ცარიელი ჩარჩოს შევსება დაპროგრამირებული სიტყვებით...ასე მეც შემიძლია, ნებისმიერ ჩარჩოს 5 წუთში შევავსებ და მანქანასაც შევეჯიბრები სისწრაფეში, მაგრამ კომპიუტერს არ გააჩნია ფანტაზია (*ხედავთ, რას ამბობს ფანტა ზიაო... „ფანტ" რედ.*), ასე რომ, ეს პროგრამები ჩემთვის გამოუსადეგარია... კომპიუტერით კი მხოლოდ კატალოგს ვადგენ, სადაც ახლა 38 თემატურ განყოფილებაში 300 ათასამდე სიტყვაა თავმოყრილი.

ჩვენ დღეში 25 კროსვორდის შედგენა გვიხდება, რათა დროულად მოვამარაგოთ 78 პერიოდული გამოცემა. მართალია, ეს რაღაც მონოპოლიას ჰგავს, მაგრამ ახლა ყველა ერიდება ახალბედა კროსვორდისტს, რომლებიც ძალზედ ბევრ შეცდომებს უშვებენ და არაიშვიათად სხვის კროსვორდებსაც ითვისებენ. როგორც ვთქვი, კროსვორდის შედგენა ხელობაა და ნებისმიერი სხვა საქმის მსგავსად სიყალბეს ვერ ეგუება, მით უმეტეს, რომ დაინტერესებული მკითხველი ადვილად აღმოაჩენს მას.

*სწორედ ამაშია ჩემი ცხოვრების მიზანიც: გადავაქციო კროსვორდი დამოუკიდებელ და თვითმყოფად სოციალურ ფენომენად! ვნახოთ, რა გამოვა...*

Аргументы и факты

**სხვათა შორის...**

„ერთხელ საზიზღარ ხასიათზე ვიყავი და კროსვორდის შევსება გადავწყვიტე... დასაწყისშივე ვიგრძენი, რომ ჩემი ცოდნის ერთი ნაწილი [illegible] იწყებს: პირველივე კითხვა ასეთი იყო — „კონტროლი [illegible]..." — მე მივხვდი, რომ ეს არის სიტყვა „მარაზმი" და მას შემდეგ კროსვორდი აღარ შემივსია..."

## გასული ნომრის პასუხები

(ასოციაცია)1.რკინა. 2.ინდიანა. 3.ბის. 4.ჰაიდარაბადი. 5.პიესა. 6.სკანდინავია. 7.ბრინჯაო. 8. ანტალია. 9. პრანჭია. 10. ედისონი. 11. მანუფაქტურა. 12. შარავანდედი. 13. გრანდიოზული. 14.ვარნა. 15.ონდატრა. 16.მულატი. 17. სიმეონე. 18. ინგმარი. 19. ბუდარია. 20. ნალბანდიანი. 21. დობროვოლსკი. 22. ჩაო. 23. მემორანდუმი. 24. ჩია. 25.ოლივერი. 26.სპეტაკი. 27. სტალინგრადი. 28.ტრაპეზა. 29.ინგრიდი. 30.კრივი. 31.ცვედანი. 32. მტილი. 33.მარად. 34.შტერი. 35.არქაული. 36.ეროტიკა. 37.ლეი. 38. მარკშეიდერი.

(სკანდინავიური) თარაზულად: ფრესკა, პეპია, ანტალია, უსიერი, დილა, ბასრა, ულისე, ენდჰოვენი, პალატა, ირლანდია, ონიანი, გრემი, გზა, პერუ, ფირნიში, ალვა, აისორი, კაი, იტალია, ანი, ნაი, სკოტი, ონი. შვეულად: ტრასა, ერგი, ენისელი, ეზრა, ისტერია, ომანი, კარანტინი, ისინდი, ბალი, დარი, აშოტი, უპ, ლა, ლირა, სე, სპა, ლოზანა, ილიკო, დივანი, პა, პლისე, ბელკანტო, ლენგი, ურვა, აინ, მანა, ირაო, უატი.

(ლოგიკური ამოცანა – 21) ლუვრი, ეიფელის კოშკი, ჰიუგო, მუშკეტერები... მიიღება პარიზი; კორსიკა, იმპერატორი, ბოროდინო, ასი(დღე)... მიიღება ნაპოლეონი; 1982, 1986, 1990, 1994... მიიღება 1998; ცეცხლი, ორლეანი, ქალწული, რელიგია... მიიღება ჟანა დარკი; პარიზი, ნაპოლეონი, 1998 და ჟანა დარკი გვაძლევს საფრანგეთს.

(სიმეტრიული) თარაზულად: 7. პლუტონი. 9. გაიდარი. 10. რეალი. 11. ანანური. 12 ნათანია. 13. ალაფი. 14. ტიფი. 18. ელია. 20. კატალონია. 21. ედისონი. 22. პატენტი. 24. დონოზავრი. 25. სვია. 28. სიკო. 30. მეტრი. 32. არიადნე. 33. ანუი. 34. რუპია. 35. მიტინგი. 36. გარინჩა. შვეულად: 1. კლანჭი. 2. სტინგი. 3. ქირია. 4. იგინი. 5. ადვაძე. 6. ფროიდი. 8. ყარაული. 15. ფანდური. 16. პაროდია. 17. დიქტორი. 19. ლენტეხი. 23. იზოტოპი. 26. ვარძია. 27. აპათია. 28. სტიქია. 29. კორაჩი. 30. მერია. 31. იმაგო.

(წაკვეთილი პირამიდა) 1. როშაქი. 2. დუ იაქი. 3. ინტერვიუ. 4. ვივიენ ლი. 5. კაპაბლანკა. 6. ომარ ხაიამი. 7. ანტანანარივუ. 8. პეტრე პირველი. 9. ჟამთაამწერელი. 10. სანდრო ახმეტელი. 11. რევაზ ინანიშვილი. 12. გიორგი ბრწყინვალე. 13. რაბინდრანათ თაგორი. 14. „კოშკო, ნაგებო კირითა." 15. ცეცხლთაყვანისმცემელი. 16. ვერის უბნის მელოდიები.

(ამერიკული კროსვორდი) თარაზულად: 1-10. კალიფორნია. 11-18. მისისიპი. 20-21. ეში. 22-23. სარაევო. 24-25. ბურსა. 26-27. დელი. 28-29. ნესტი. 30-31. სუფლე. 32-33. მლეთა. 34-35. მენიუ. 37-39. ერუდიცია. 40-41. ლია. 42-44. ალფონსი. 45-50. დიზაინერი. 51-53. ნირი. 54-57. რაინდი. 58-60. ილია. 61-65. კონკისტადორი. 69-73. ბიბისი. 75-76. ელამი. 77-80. პრიორიტეტი. 81-82. ინსტიტუტი. 83-84. ეგო. 85-86. ნოა. 87-91. პალმირა. 92-95. ადათი. 96-98. როსი. 99-100. ნიპონ. 101-104. მისტერია. 105-107. მაია. 109-111. იმიტაცია. 112-113. რიტა. 114-116. აბადანი. 117-119. ეკლიანი. 120-121. ილიკო. 122-126. ტაურასი. 127-131. რაიონი. 136-138. ოკრიბა. 139-143. დიალოგი. 144-146. ატრია. 147-149. ზვინი. 150-153. რიორიტა. 160-164. ოიმიაკონი. 165-166. სარა. 167-169. ელადა. 170-171. ირაო. 172-173. რომანი. 174-175. ვისტი. 176-177. ნენე. 178-182. დარდიმანდი. 184-186. შტრაუსი. 187-190. ილიადა. 191-194. მაიამი. 195-199. ორიანი. (თარაზული პასუხების ჩაწერით შვეულის კითხვები თავისით ჩაიწერება).

პირველი ტური
24-30. 06. 1997 წ.
100 სიტყვა

## საქართველოს საკროსვორდო ჩემპიონატის მეორე (საზაფხულო) ტურნირი 5 ტურად



**თარაზულად:** 14. ცნობილი სამხრეთამერიკელი მწერალი ხულიო... 15. ქართველი ექიმი–მეცნიერი, ბატონი სიმონი. 16. ავადმყოფური გადახრა ნორმისაგან. 19. გორგასლისეული ციხე-ქალაქი. 20. დასაკონსერვებელი ნაგებობა. 21. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 22. ეკვადორის დედაქალაქი. 23. შენობის ხმოვანი თავისებურება. 24. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტ. დეტექტივი. 25. როგორი ძაღლი ბინადრობს კიტა ბუაჩიძის პიესაში? 26. ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში. 27. გამოუცდელი კაცი. 29. ლენინის რისხვის უმთავრესი ობიექტი. 31. საგანგებო დავალება. 32.. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი რუსი მხედართმთავარი. 33. გამარჯვების ქალღმერთი. 36. მაგიასთან დაკავშირებული „სულიერი წვდომა“. 38. სიგრძის საზომი საშუალება. 39. სარესტორნო სანახაობა. 42. ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 44. სკამის სახესხვაობა. 46. მეტყველების ნაკლის მქონე. 47. ტარზანის როლის პირველი შემსრულებელი. 52. რელიგიური დაჯგუფება. 53. თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი. 54. „როდის ქროდა უფრო საშინელი ქარი...?“ 55. დასავლელქართველთა ერთგვარი სიმღერა. 60. უძველესი საწერი საშუალება. 61. მეტყველების სამკურნალო დარგი. 62. შესანიშნავი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 64. ერთ–ერთი კავკასიელი პრეზიდენტი. 65. ადგილი, სადაც მაცხოვარი აწამეს. 67. ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიელი. 68. ქართველ კომენტატორთა საყვარელი შეძახილი. 69. უძველესი სომხური სახელმწიფო. 73. ესპანეთის ქალაქი. 74. სპორტული ასპარეზი. 75. მიმღები დანადგარი. 76. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე. 80. ქართული საფალავნო რომანი. 82. გერმანული გვარების წინსართი. 83. სწორნაწლავის გაფართოება. 85. მადრიდის ხელოვნების მუზეუმი. 91. ერთ-ერთი წარმართული რელიგიის წარმომადგენელი. 94. ხმის გამოცემის სახესხვაობა. 95. სარეწაო თევზი. 96. სალეჭი რეზინი. 97. ამერიკელი კინომსახიობი მამაკაცი. 98. იტალიელი კინორეჟისორი. 99. ჩაგრული პირი – ძველად.

**შვეულად:** 1. 50-იანი წწ. შესანიშნავი ქართველი კალათბურთელი. 2. 30-იანი წწ. რუს ფეხბურთელების (რამოდენიმე ძმის) გვარი. 3. კამხალი ეგვიპტეში. 4. მამაკაცისათვის ერთობ მავნე დაავადება. 5. აზიის ერთ-ერთი უღიღესი მდინარე. 6. ერთგვარი „ქაღალდების“ შემგროვებელი. 7. „უკიდურესობის მეცნიერება“. 8. კონტინენტი. 9. გეომეტრიის ნაწილი. 10. ნიუ-იორკის ცენტრალური ნაწილი. 11. ქალაქი თურქეთში. 12. საქმის მოწინააღმდეგე. 13. სინამდვილის გამყალბებელი. 17. შენობის გადასახურავი საშუალება. 18. რაიმე ქმედების შესრულებაზე დახარჯული დროის შესწავლის მეთოდი. 28. საფლავის „მთხრელი“ ფრინველი ქართულ პოეზიაში. 30. თაჟდავიწყების რაღაც სინონიმი. 34. ქალაქი საფრანგეთში. 35. როგორი პრემია არსებობდა ძველ სსრკ-ში? 37. შემადგენელი ნაწილი – ზოგადად. 40. დასაწყისი. 41. უკმაყოფილების გამოწვევის ერთ-ერთი ფაქტორი. 43. უკიდურესობის წინსართი. 45. საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი. 48. თანამედროვეობის ყველაზე პოპულარული ლევანი. 49. ფრანგი მოგზაური. 50. ძველთბილისური ტოპონიმი (გაიხსენეთ გრიშაშვილის ლექსი). 51. სარეწაო თევზი. 56. ძველებური სანათი. 57. ერთი კურდღლის სამყოფი ერთ ლექსში. 58. ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „კენტავრი“. 59. ასტრონომიული ცნება. 63. ქალაქი არგენტინაში. 66. სალებავის გასაზავებელი სითხე. 70. ერთ-ერთი ლიტ. მიმდინარეობის წარმომადგენელი მე-20 ს. დასაწყისში. 71. „დასაჯილდოებელი“ ლითონი. 72. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, ჩვენი „ახლობელი“ მდინარე. 77. ქართული გაზეთი. 78. მეთევზის „თანაშემწე“. 79. ჰიტლერის ერთ-ერთი კომპანიონი. 81. ყველაზე მყრალი არსება პი პინიას მოძღვრების თანახმად. 84. მარჯანიშვილის თეატრის ძველი თაობის მსახიობი. 86. სიურრეალიზმის ელვარე წარმომადგენელი. 87. პატარძლის დასაკრეფი ბოსტნეული. 88. უცხოური მისალმება. 89. ვინ იყო ოტელო? 90. ლეო ქიაჩელის მშობლიური სოფელი. 92. შეუჩვეველი კაცი (თუნდაც ქალი). 93. თბილისის უბანი. 94. სითხის სარწყაო ჭურჭელი.

### მონაწილის სავიზიტო ბარათი

გვარი ______________________

სახელი ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________________

**პირველი ტურის პასუხები წარმოადგინეთ არაუგვიანეს 29 ივნისის 17 საათისა. დაგვიანებული პასუხები არ მიიღება.**

### ჩემპიონატის ჩატარების წესები

1. ყოველ ტურში გამოქვეყნდება ასი სიტყვისაგან შემდგარი კროსვორდი.
2. ყოველი სწორად ჩაწერილი სიტყვა ერთი ქულაა.
3. ქულა არ მოგენიჭებათ, თუ არასწორადაა ჩაწერილი თუნდაც ერთი ასო (სიტყვათა მართლწერის მთავარი კრიტერიუმებია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „ქართული ენციკლოპედია“, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“; ამ გამოცემებში არსებული სხვაობების შემთხვევაში, სწორად ჩაითვლება ორივე ვარიანტი; იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამედროვე ან ძველი ცნება თუ სახელი აღნიშნულ გამოცემებში დაფიქსირებული არ არის, სწორი ვარიანტის საკითხს წყვეტს კროსვორდის შემდგენელი და ტურნირის მსაჯი).
4. იმისათვის, რომ ტურნირში მონაწილეობა ჩაგეთვალოთ, უნდა წარმოადგინოთ არანაკლებ ოთხი ტურის პასუხებისა.
5. ქულათა გამოანგარიშების წესი: მონაწილის შედეგები შეჯამდება ყოველ ტურში და გაიყოფა ტურების რაოდენობაზე. მეორე ტურიდან ამუშავდება მცირე ზომის ე.წ. „საპრემიო კროსვორდი“, პრემიის სახით გათვალისწინებულია სხვა დამატებითი საშუალებებიც – ე.წ. „მალულა“, ფოტოკითხვები, საპრემიო ქულა ერთ ტურში. ასპროცენტიანი შედეგისათვის და ა.შ.
6. მესამე (საშემოდგომო) ტურნირის ჩატარების შემდეგ გამოვლინდება 1997 წლის აბსოლუტური ჩემპიონი!

***P.S.** ჩვენ ვაპირებდით ერთგვარი „უმაღლესი ლიგის“ შექმნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ღონისძიება ჯერ ნაადრევია; ასეთი რამ, ალბათ, შესაძლებელი იქნება მოგვიანებით, ახლა კი ტურნირში ჩართვა შეუძლია ყველა მსურველს!*

სარეკლამო თუ საპონსორო საკითხით დაინტერესებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ.

# ანეკდოტები

*პატარა მიხოს*
*ახალი და ძველი ამბები*

პატარა მიხო დედას ეკითხება:
„ – დედი, დედი, მამაჩემს რათა აქვს ეგრე ცოტა თმა თავზე?“
„ – იმიტომ, რომა ის ძალიან ჭკვიანია!“
„ – შენ რაღათა გაქვს ეგრე ბევრი?!“
„ – აბა, აბა, ეგეთები არ იყოს!“

* * *

მასწავლებელი ეუბნება პატარა მიხოს:
„ – ნეტავი მამაშენს მაასმენინა შენი პასუხი, რო თმები სულ ყალყზედ დაუდგეს?!“
„ – მერე-და როგორ გაუხარდება!“
„ – რათ გაუხარდება, ბიჭო?!“
„ – თავზე თმა არა აქვს და, მაი, რას იზამს?!“

* * *

პატარა მიხო ზოოპარკიდან დაბრუნდა და ზოოლოგიის მასწავლებელს ეკითხება:
„ – სპილოს მამამისი ყურს უწევს ხოლმე, მასწ?!“
„ – ასეთი რამ მეცნიერებაში ცნობილი არ არის!“
„ – აფსუს, რა ყურები იკარგება?

* * *

პატარა მიხომ და მარომ მაყვალა ბაბოსთან მიირბინეს და ეკითხებიან:
„ – მაყვალა ბაბო, შეიძლება, რომ ჩვენ ბავშვი გავაჩინოთ?“
„ – არა, შვილებო?! ჯერ ვერ გააჩენთ...“
„ – აპა, ბიჭო, შენ კიდევ გეშინოდა!“ – გაუხარდა პატარა მაროს

### გასული ნომრის პასუხები

(კროს-შოუ) თარაზულად: 10. აბასთუმანი. 11. ედი. 12. ბესარაბია. 14. ინტერნაციონალი. 15. ეიზენშტეინი. 21. ჯანჯალაშვილი. 22. მანიპულაცია. 25. ლიტერატურა. 26. კეროლი. 27. ტყუპი. 30. პანიკა. 31. ბადრი. 32. სტაბილიზაცია. 35. მუნტიანი. 36. ნედლი. 37. ბიზანტიონი. 40. სტიუარტი. 41. დამლა. 42. ორბელიანი. 46. ჯაზი. 47. სტერილიზაცია. 48. ოინბაზი. 51. ქორი. 52. ივანიშევიჩი. 54. ბიზე. 58. გირლანდა. 61. კილიმანჯარო. 63. კიევი. 64. თარსი. 65. ჯან. 66. უვე. 67. შპიგელი. 74. კაკაო. 75. კონდიცია. 76. მაზინა. 78. მიოლდერი. 79. კრემატორიუმი. 83. ეული. 88. ლოკატორი. 89. კიკნაძე. 90. ცისარტყელა. 91. დოგმა. 92. ბილწი. 93. აბაზანა. 94. სერა. 95. მინუსი.

შვეულად: 1. მედინა. 2. ბალეტი. 3. მარშრუტი. 4. დილეტანტიზმი. 5. ბონი. 6. სპეტაკი. 7. მჟავა. 8. ნაინა. 9. დალილა. 11. უნივერსალი. 13. ინსინუაცია. 16. ჯეელი. 17. ლიანა. 18. მოკასინი. 19. ნორმანდია. 20. პილპილი. 23. ლიპარტელიანი. 24. პრიმიტივი. 29. კომისიონერი. 31. ინდიანაპოლისი. 33. აორტა. 34. ზორბა. 37. ბაბლუანი. 38. დეტროიტი. 39. მერსიე. 43. ჯიქანი. 44. ზარბაზანა. 45. ზაირი. 49. ვენტილატორი. 50. ჩხავერი. 53. გოთიკა. 55. კიური. 57. მუშა. 59. კონკურენცია. 60. ევანჯელისტა. 62. რეიხი. 68. კოლბა. 69. კრედო. 70. ოდინი. 71. ცური. 72. აჩმა. 73. ნიუკასლი. 77. მილედი. 80. კექსი. 81. ტარტუ. 82. რინგი. 84. არზა. 85. ოყნა. 86. კარე. 87. კობა.

# აჯაფსანდალი



1. ქარიტრიპა. 2. კისერმა. 3. ტორფი. 4. ოტა. 5. ოლელი. 6. ვილშიამყა. 7. ნოდარია. 8. ტაბლისა. 9. ლადიბარგი. 10. ტუტიციპორსა. 11. როკუორპრი. 12. აგლიარე. 13. საშანიტიფტი. 14. სლავი. 15. სანქი. 16. ვინტი. 17. სიამე. 18. ვარში. 19. ქრა. 20. ვიშლიქემილი. 21. ასტრაკაცი. 22. მინადირიე. 23. ლუპაციონამია. 24. ელი. 25. სტრედიე. 26. აბრაბნა. 27. სტინე. 28. მაისი. 29. ლაიკა. 30. ბაკრე. 31. არეპო. 32. რუბაელი. 33. დინპესტი. 34. კრო. 35. კიბენესტი. 36. ბუნტარი.

ის „ფანტაზია“
რეგისტრირებულია
ისნის რაიონის
სასამართლოს
მიერ №7/1–1811
რედაქტორი
ალექსანდრე
ელერდაშვილი
უზნაძის ქ. № 18,
„საქწიგნი“,
1-ლი სართული